

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პროგრესული მეთოდი

ეკატერინე შუბითიძე

კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტი

PROGRESSIVE METHOD OF TAXING ON INCOME

Ekaterine Shubitidze

Ph.D. Student, Caucasus School of Law

რეზიუმე

ფიზიკურ პირთა შემოსავლის მიმართ დაბეგვრის პროგრესული მეთოდის გამოყენება რესურსების გადანაწილების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ნაშრომი მიზნად ისახავს დაბეგვრის ამ მეთოდის უპირატესობის წარმოჩენას საქართველოში მოქმედი პროპორციული მეთოდის წინაშე. თუმცა, აქვე ხაზგასმულია პროგრესულ მეთოდზე ტრანსფორმირების შემთხვევაში მოსალოდნელი რისკები.

ნაშრომი გვთავაზობს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საბაზისო პრინციპების ალტერნატიულ შეფასებას.

ნაშრომი მიზნად ისახავს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პროგრესული განაკვეთის უპირატესობების სამართლებრივ შეფასებას, ეკონომიკური ფაქტორების უკანა პლანზე დახვეით, რაც შესაძლოა ვერ ქმნიდეს სრულყოფილ ობიექტურ სურათს, მაგრამ იძლევა ალტერნატიული (სამართლებრივი) ხედვის შესაძლებლობას და ამზადებს ნიადაგს საგადასახადო სამართალში, როგორც დარგთაშორის სფეროში დისკუსიის წარმართვისათვის.

გადასახადის გადამხდელთა შორის საქართველოში არსებული უთანასწორობის მაჩვენებლის გათვალისწინებით, რაც ჯინის კოეფიციენტით დგინდება, რესურსების გადანაწილება უთუოდ პრიორიტეტული ამოცანაა, რათა შემცირდეს სოციალური უთანასწორობა და შეიქმნას თვითრეალიზაციის თანაბარი პირობები, დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა და ა.შ.

მნიშვნელოვანია სწორედ იმის გააზრება, რომ პროგრესული დაბეგვრის საჭიროება კონკრეტულად დღესდღეობით არსებულ პირობებშია ეფექტური, ოპტიმალური. ევროპულ ქვეყნებში უკანასკნელი წლების მანძილზე გამოკვეთილი, პროპორციულ დაბეგვრაზე ტრანსფორმირების ტენდენცია არ უნდა შეფასდეს შემთხვევითობად და მით უფრო ბრმად გასაზიარებელ მაგალითად. ევროპულ ქვეყნებში არსებული უთანასწორობის მაჩვენებელი უკვე ფიქსირებული, მიღწეული შედეგია, რაშიც არც თუ მცირე წვლილი დაბეგვრის დღემდე მოქმედ მეთოდსაც შეიძლება მივაკუთნოთ.

RESUME

Progressive method of taxing personal income is one of the most effective ways of distributing financial resources among taxpayers. This article aims to emphasize the advantage of progressive taxation compared to proportional method. Though, herewith we highlight the risks to be considered when acquiring the progressive taxation method.

The essay suggests to discuss alternative principles to justify Personal Income Tax, which have been formulated recently and tend to acquire rising attention among analysts and tax law scholars.

The essay aims to measure progressive method of personal income taxation in legal perspective, by setting aside economic factors. Doing so, we may doubt the essay will fail to reflect the objective reality, still it offers alternative legal point of view and strengthens ground for legal dispute within tax law as interdisciplinary study.

Facts and reasoning lead to following statements: Taking into account the inequality measures in Georgia, given the GINI coefficient, resource redistribution is by all means the task of leading priority, to achieve diminishing social inequality and to guarantee equal opportunities for self-realization and promotion of democracy, etc. It is important to comprehend that the choice preferring progressive taxation is necessary and effective in the very circumstances we live through. The fact that European Countries intensively discuss transition to flat tax system does not necessarily require us to follow without objections. Though the tendency implies that the inequality measures in European countries are already fixed results achieved among others with the very method of taxation in effect till now.

შესავალი

პოსტკომუნისტურ სახემნიფოთა მშენებლობა ისტორიული გადმოსახედიდან იყო უნიკალური პროცესი, ვინაიდან ძალაუფლების და რესურსების დინება მიემართებოდა სახელმწიფოდან საზოგადოებისკენ და არა პირიქით.¹ უნიკალურობა ბევრი მიმართულებით სირთულეებად გარდაიქმნა, მათი დაძლევა ყოველმხრივ შესწავლას და კომპლექსურ ანალიზს მოითხოვს. ალბანეთი, ბელორუსია, ჩეხეთი, ესტონეთი, საქართველო, ყაზახეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, რუსეთი - ეს იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, რომელთა საგადასახადო სისტემა საშემოსავლო გადასახადის პროპორციული დაბეგვრის რეჟიმს იყენებს. თუმცა ჩამონათვალი სრული არ არის, დაბეგვრის ეს ფორმა პროგრესული დაბეგვრის სისტემისაგან განსხვავებით საკმაოდ იშვიათად გამოიყენება.²

ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში, მაგალითად ჩეხეთის რესპუბლიკამ და სლოვაკეთმა, ახლო წარსულში შემოიღეს გადასახადის პროპორციული განაკვეთი. უფრო მეტიც, სხვა ევროპულ ქვეყნებშიც, როგორცაა შვეიცარია და გერმანია, მიმდინარეობს ინტენსიური მსჯელობა პროპორციული დაბეგვრის რეჟიმზე ტრანსფორმირების მიზნით.³ დაბეგვრის მეთოდი, იქნება ეს პროპორციული თუ პროგრესული, ან თუნდაც რეგრესული, მნიშვნელოვან შედეგებთანაა დაკავშირებული, რაც არა მხოლოდ ეკონომიკური ასპექტების სახით ვლინდება, არამედ სამართლებრივ საკითხებსაც აქტუალურს ხდის.

¹ Gerald M. Easter, *Capital, Coercion, and Postcommunist States*, Cornell University Press, 2012, London, 187.

² ალბანეთი, ბელორუსია, ბელიზი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბრუნეი, ბულგარეთი, ბურკინა ფასო, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, საქართველო, გიბრალტარი, გრენადა, გუანა, უნგრეთი, ისრაელი, ჯერსი, ყაზახეთი, კუვეიტი, ლატვია, ლიტვა, მადაგასკარი, მაურიტიუსი, მონაკო, მონტენეგრო, ომანი, პარაგვაი, კატარი, რუმინეთი, რუსეთი, საუდის არაბეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, უკრაინა (www.taxrates.cc).

³ Beate Neubauer, *Flat Tax-an unfair system of taxation?*, GRIN, 2010, 3.

დასახევის მეთოდები

გადასახადით დასახევი ბაზის ცვალებადობიდან გამომდინარე, საგადასახადო განაკვეთი შეიძლება შეიცვალოს ან დარჩეს უცვლელი. აღნიშნული საფუძვლით განასხვავებენ დაბეგვის ოთხ ძირითად მეთოდს: თანაბარს, პროპორციულს, პროგრესულს და რეგრესულს.⁴ ჩვენი ინტერესის სფერო პროპორციულ და პროგრესულ მეთოდებს მოიცავს, ვინაიდან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვისას არჩევანი უმეტესწილად ამ ორ მეთოდს შორის კეთდება.

პროგრესული გადასახადის შემთხვევაში, პირის შემოსავლის გადიდების შესაბამისად იზრდება მისგან ამოსაღები გადასახადის პროცენტი. სხვა სიტყვებით, გადასახადის საშუალო სიდიდე იზრდება. შემოსავალზე გადასახადი არის პროგრესული; პროპორციული გადასახადის შემთხვევაში, ადამიანის შემოსავლის ზრდის კვალობაზე, მისგან ამოსაღები გადასახადის პროცენტი უცვლელი რჩება.⁵

მიუხედავად იმისა, რომ როგორც პროპორციული ისე პროგრესული დაბეგვის რეჟიმები დაბალშემოსავლიან გადასახადებთან შედარებით მაღალშემოსავლიან გადასახადებს მეტ საგადასახადო ტვირთს აკისრებს, მათ შორის სხვაობა არსებობს, და არჩევანი მათ შორის უნდა ემყარებოდეს ამ სხვაობის სწორ შეფასებას კონკრეტულ დროსა და გარემოებებში.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ ერთეული ევროპული ქვეყნები დაბეგვის პროპორციულ რეჟიმზე გადასვლაზე მსჯელობენ, არ არის საკმარისი საფუძველი დავასკვნათ, თითქოს პროპორციული დაბეგვა საშემოსავლო გადასახადის ყველაზე ეფექტური და სამართლიანი მეთოდია. არც ისაა სათანადოდ არგუმენტირებული, თუ რატომ გახდა საქართველოს საგადასახადო სისტემაში პროპორციული დაბეგვა ყველაზე მისაღები მეთოდი. საინტერესოა, რომ 1997 წლის საგადასახადო კოდექსის 42-ე მუხლი საშემოსავლო გადასახადით დაბეგვის 12%-დან 20%-მდე ზრდად ოთხ საფეხურიან განაკვეთს ადგენდა. თუმცა, მიმდინარე პერიოდში გადასახადების ადმინისტრირების ხარისხი არ იძლევა დეტალური კვლევის საშუალებას.

იმისათვის რომ პროგრესული და პროპორციული დაბეგვის რეჟიმებს შორის არჩევანი ჩამოგვიყალიბდეს, საჭიროა ზოგადად მიმოვიხილოთ საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების პრინციპები. განვსაზღვროთ, თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს კონკრეტული საგადასახადო სისტემა და მხოლოდ ამის შემდგომ დავასაბუთოდ კონკრეტული დაბეგვის მეთოდის მათთან შესაბამისობა და პრაქტიკული ღირებულება.

მნიშვნელოვანია იმის სათანადოდ გააზრება, რომ ნაშრომი არ შეიცავს პროპორციული ან პროგრესული მეთოდის ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზს. ასეთი არც წარმოადგენს ქვემდებარე ნაშრომის მიზანს. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ეფექტურობა საგადასახადო სისტემის აუცილებელი კრიტერიუმია, ნაშრომი ერთგვარად აკნინებს მის მნიშვნელობას და ეს შემთხვევითი არ არის. ეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაფუძნებული საგადასახადო პოლიტიკის ორიენტირება არსებული რეალობა და მისი გადაჭარბებული შეფასება სხვა მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულებების უგულებელყოფას იწვევს. ამის საპირწონედ, სამართლებრივ ფაქტორებზე მსჯელობა უდავოდ გააქტიურებას საჭიროებს.

გარდა ამისა, რესურსების გადანაწილებაზე დისკუსია არაეფექტური იქნება, თუ კვლევის არეალში მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს მოვიაზრებთ. იმისათვის რომ მზა ფორმულამდე მივიდეთ, სულ ცოტა არაპირდაპირი გადასახადების ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ, ვინაიდან, მათ მნიშვნელოვანი რეგრესული ეფექტი აქვთ რესურსების გადანაწილების შედეგზე. ამიტომ საფუძვლიან ეკონომიკურ ანალიზს მოითხოვს ამ მიზნის რეალიზების კონკრეტული გზის მიკვლევა, რაც, რათქმა უნდა, ამ ნაშრომის მიზანი ვერ იქნება.

⁴ როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, ბაკმი, 2002, თბილისი.

⁵ საგადასახადო საქმე ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე, თბილისი, 2007, "ვერჟე", გვ. 69.

რესურსების გადანაწილება სოციალური თანასწორობის მიზნით

მე-19 საუკუნის დასასრულს ცხადი გახდა, რომ სოციალური ლიბერალიზმის იდეების გენერირება კლასიკური ლიბერალიზმის უარყოფითმა შედეგებმა განაპირობა. თუმცა, სოციალურ უსამართლობას ჯერ კიდევ ვიქტორიანელი მწერლები (ჩარლზ დიკენსი, ტომას კარლაილი, მეტიუ არნოლდი) აკრიტიკებდნენ. სოციალ-ლიბერალიზმის მიხედვით სოციალური სიკეთე სრულ ჰარმონიაშია ინდივიდის თავისუფლებასთან.⁶ „პასუხისმგებლობა“ თავისუფლების კონცეფციის განუყოფელი ნაწილია. სწორედ პასუხისმგებლობა იმ სოციალურ წევრთა მიმართ, რომელსაც ვეკუთვნით, გვაკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს, რომლებიც ხშირად ზნეობის, ჩვეულების, ზოგჯერ კანონის ძალითაც არის გამყარებული⁷ და მათი უგულებელყოფა ეწინააღმდეგება სამართლიანობის, სოციალური თანასწორობის თანამედროვე დეფინიცირებას.

თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული სახელმწიფო სისტემა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია სოციალური უსამართლობის დაძლევაა, თანამედროვე განვითარებული სამყაროსათვის უკვე ჩვეული მოვლენაა. სოციალური სამართლიანობა, როგორც მიზანი, მნიშვნელოვანია ასეთი სახელმწიფოს ცალკეული ინსტიტუტებისთვის, მათ შორის, ფისკალურ და შესაბამისად საგადასახადო სფეროში.

ცხადია, სოციალური უთანასწორობის დაძლევა მარტივად მისაღწევი მიზანი არ არის და მასზე არა მხოლოდ საგადასახადო, არამედ სხვა ინსტიტუტების ძალისხმევაცაა მიმართული (მაგ. მუნიციპალური, განათლების და სხვ.) თუმცა სწორედ საგადასახადო პოლიტიკის ინსტრუმენტი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება ამ მიზნის მისაღწევად, კერძოდ - რესურსების გადანაწილება.

საქართველოს საგადასახადო სისტემა, მისი სტაბილურობის ხარისხის გათვალისწინებით, უდავოდ მოითხოვს თეორიული საფუძვლის გამყარებას. საგადასახადო სამართლის სფეროში არსებული ქართული სამეცნიერო ლიტერატურა არ გვანებივრებს საინტერესო დისკუსიებით სამართლის ამ დარგის თეორიული საწყისების, მისი მიზნების, ფუნქციების შესახებ. ქართულმა სახელმწიფომ დღესდღეობით მიიღო გამოუსადეგარი მემკვიდრეობის და ჯერ აუთვისებელი სისტემების ერთგვარი ნაზავი, რომელიც დღეს ყველაზე მთავარზე - რა მიზნებს უნდა ისახავდეს მოქმედი საგადასახადო სისტემა? რა მექანიზმებით უნდა მივაღწიოთ სამართლიანობის პრაქტიკულ რეალიზებას?

ერთი შეხედვით, შესაძლოა, საფუძველს მოკლებული არაა მოსაზრება ამ საკითხთა ზედმეტად თეორიული ხასიათის შესახებ, თუმცა მათ ძალზე მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი უკავშირდება. მაგალითად, იმისდა მიხედვით, თუ რას მოვიაზრებთ ჩვენ სამართლიანობის ცნებაში და რას დაევსავთ მისი მიღწევის ხერხებად, უნდა წყდებოდეს, როგორ განაწილება საგადასახადო ტვირთი, რა სახის შეღავათები და გამოქვითვები იმოქმედებს საშემოსავლო გადასახადთან მიმართებით და ა.შ. ამიტომ, მთავარი აქცენტი სწორედ საგადასახადო ტვირთის გადანაწილებას უკავშირდება. უფრო ზუსტად კი იმის გარკვევას, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის რომელი მეთოდი შეესაბამება საგადასახადო ტვირთის უფრო სამართლიან და ოპტიმალურ განაწილებას.

სამართლიანობა: საგადასახადო პოლიტიკის მორალური კრიტერიუმი

„ეფექტური და სამართლიანი გადასახადები“ წინასწარჩვენო აგიტაციის უპირობო კომპონენტად იქცა, თუმცა შინაარსობრივად რა დატვირთვისაა, ამას არც ამომრჩეველი და არც კანდიდატები საფუძვლიანი განსჯის ღირსად არ მიიჩნევენ. ამომრჩევლისთვის „სამართლიანია“ მცირე საგადასახადო განაკვეთები მაქსიმალური საგადასახადო შეღავათებით. კანდიდატთათვის

⁶ http://en.wikipedia.org/wiki/Social_democracy.

⁷ რჩენის ვალდებულება საოჯახო სამართალში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997, 1212, 1218, 1223, 1224 და ა.შ.

„ეფექტურია“ მარტივად ადმინისტრირებადი, სტაბილურ საგადასახადო ბაზაზე დამოკიდებული გადასახადი, რომელიც არ იქნება მგრძობიარე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა ცვლადი გარეშეფაქტორების მიმართ.

თუმცა ეკონომიკური თეორია გვანვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას დაბეგრვის სხვადასხვა სქემების შესახებ ეფექტებზე. მას არ შეუძლია გააკეთოს არჩევანი ამ სქემებს შორის. ნებისმიერი, ვინც იცავს საგადასახადო პოლიტიკას, რადგან ის არის, მარტივად რომ ვთქვათ, „საუკეთესო ეკონომიკური ზრდისათვის“ ან „ყველაზე ეფექტური“, უნდა დაასაბუთოს, არა მარტო ამ სიკეთეების არსებობა, არამედ, ასევე პოლიტიკური მორალის არგუმენტი, რომელიც ამართლებს „ზრდისა“ და „ეფექტურობის“ პრინციპს სხვა სოციალური ღირებულებების წინაშე. სოციალური სიკეთე, რომელიც ტრადიციულად მნიშვნელოვანია საგადასახადო სისტემის ფორმირებაში, ეკონომიკური ეფექტურობის მიღმა, არის სამართლიანობა; საგადასახადო სისტემის ავტორთა ამოცანაა, შექმნან სქემა, რომელიც ეფექტურიცაა და სამართლიანიც. სამართლიანობა, საყოველთაოდ მიღებული კონცეფციის თანახმად, განიხილება, როგორც იმ სხვაობის შეფასების სტანდარტი, რომელიც გამოიყენება გადასახადის გადამხდელთა მიმართ: პრინციპები, რომლის თანახმად საგადასახადო ტვირთი თანაბარ პირობებში მყოფ პირებს შორის თანაბრად უნდა განაწილდეს, ხოლო განსხვავებული პირობებში - შესაბამისად, განსხვავებულად.⁸

ნაცვალგების და გადახდისუნარიანობის პრინციპები

საგადასახადო სამართლის მეცნიერებაში საგადასახადო სამართლის ფუძემდებლური არაერთი პრინციპი განიხილება. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ნაცვალგების და გადახდისუნარიანობის რპინციპები, რომელიც სამართლიანობის პრაქტიკული რეალიზების მიზანს ემსახურება. განვიხილოთ თითოეული:

ნაცვალგების პრინციპი გულისხმობს ინდივიდის დაბეგრვას იმ სიკეთეების პროპორციულად, რასაც გადასახადის გადამხდელი სახელმწიფოსაგან იღებს. ამ თეორიის მიხედვით, გადასახადი არის საზღაური, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იხდის სახელმწიფოსთან „კონტრაქტის“ სანაცვლოდ, რომლის ძალითაც, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას მისი სიცოცხლე, თავისუფლება და ქონება.⁹ აქვე საინტერესოა საქართველოს საგადასახადო კოდექსით მოცემული განმარტება, რომელიც იმთავითვე უარყოფს ნაცვალგების პრინციპს: „გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.“¹⁰ სწორედ არაეკვივალენტურობა გამოირჩევა ნაცვალგების პრინციპის სრულფასოვნად გაზიარებას. ეს მიდგომა შემთხვევითი არაა, ვინაიდან, ძალზედ რთულია, თუ არა შეუძლებელი, იმის გამიჯვნა, თუ გადასახადის გადამხდელთა ხელთ არსებული სიკეთეების რა ნაწილის მიღება განაპირობა სახელმწიფო აპარატის არსებობამ და რა ნაწილი არის შედეგი ინდივიდის პიროვნული თვისებებისა. ამის გამიჯვნა რომ მოხერხდეს, სულ მცირე, აუცილებელია იმის გამოთვლა, თუ რა ოდენობის შემოსავალს დააგროვებდა პიროვნება სახელმწიფოს არარსებობის შემთხვევაში.

ჯოზეფ დოჯის¹¹ დაკვირვების თანახმად: „პრობლემას წარმოადგენს იმის გამიჯვნა, თუ პირადი სიმდიდრის რა ნაწილი უნდა განეკუთვნოს სახელმწიფოს და რა ნაწილი პირად შრომას და კა-

⁸ I. B. Murphy & Th. Nagel, *Myth of Ownership: Taxes and Justice*, 2002, Oxford University press, pg. 12.

⁹ J. R. Repetti, *Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity*, 2008, Boston College Law School, 1135-1136.

¹⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010, მუხ. 6(1).

¹¹ ჯოზეფ დოჯი - ჰარვარდის და ნიუ-იორკის უნივერსიტეტების სამართლის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მფლობელი, არის წამყვანი სპეციალისტი საგადასახადო სამართლის დარგში, გამოქვეყნებული აქვს არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი საშემოსავლო გადასახადის თემის გარშემო, ამჟამად მოღვაწეობს ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში.

პიტაღს. ეს ამოცანა დაუძლეველია, ვინაიდან არ იარსებებდა არავითარი კერძო სიმდიდრე (და გადასახადებით დაფინანსებული სახელმწიფო) პირადი შრომისა და კაპიტალის გარეშე და იარსებებდა ძალზედ მცირე არამდგრადი ქონებრივი უფლებები სახელმწიფოს გარეშე”.¹²

გადახდისუნარიანობის პრინციპი, როგორც დასახელებიდან იკითხება, საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლად პირის გადახდისუნარიანობას მიიჩნევს. ამ პრინციპის თანახმად, საგადასახადო ტვირთი იმგვარად უნდა იყოს განაწილებული, რომ ითვალისწინებდეს გადასახადის გადამხდელის გადახდისუნარიანობას. თავისი ნაკლოვანებები ამ პრინციპსაც ახასიათებს. კერძოდ, სოციოლოგია იკვლევს სუბიექტთა რეაქციულ ქმედებას სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე. არსებობს კვლევებით დადასტურებული მოსაზრება, რომ დაბალი გადახდისუნარიანობის (დაბალი შემოსავლის) მქონე პირები დემოტივირებულნი ხდებიან, გასწიონ მეტი ძალისხმევა მეტი შემოსავლის მისაღებად, ისევე როგორც მაღალი შემოსავლის მქონე პირები ხდებიან დემოტივირებულნი მიიღონ კიდევ უფრო მეტი შემოსავალი, რომელიც გაზრდილ საგადასახადო განაკვეთს დაექვემდებარება. აქ ადგილი აქვს ე.წ. კონფლიქტს გადასახადების სამართლიანობასა და ეფექტურობას შორის, რომელსაც მოგვიანებით შევეხებით. ამასთან, მნიშვნელოვანია გადახდისუნარიანობაში მოვიაზროთ არა მარტო პირის ფაქტობრივი გადახდისუნარიანობა საგადასახადო ბაზის შეფასებით (ხელთ არსებული შემოსავალი, ან ქონება), არამედ მისი შინაგანი შესაძლებლობები, გამოუყენებელი უნარები. ეს, მსგავსად ნაცვალგების პრინციპისა, განუხორციელებელი ამოცანაა, რის გამოც, გადახდისუნარიანობის პრინციპის უმთავრეს და წამყვან პრინციპად აღიარება უსარგებლო ხდება. ეს ორი პრინციპი ასევე ლიად ტოვებს ბევრ საკითხს საგადასახადო სისტემის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

თანაბარი შესაძლებლობები და დემოკრატიის ხელშეწყობა

განხილული პრინციპები, თუმცა საღ აზრს მოკლებული არ არის, შეიძლება ითქვას, არაეფექტურია საგადასახადო სისტემის ფორმირების პროცესის სახელმძღვანელოდ. მათი პრაქტიკული განხორციელება არამარტო რთული, ზოგჯერ შეუძლებელიცაა. სწორედ ამიტომ, სამეცნიერო-კვლევითი შრომები ორიენტირებულია საგადასახადო სისტემების ფორმირების ისეთი ალტერნატიული საფუძვლების კვლევისაკენ, რომელიც მაქსიმალურად მოიცავს სამართლიანობის და ეფექტურობის კონცეფციასთან პრაქტიკულ ნორმატივებს.

ლაიამ მერფი¹³ და ტომას ნეიჯელი¹⁴ ირწმუნებიან, რომ სამართლიანი გადასახადის მიკვლევა საგადასახადო სისტემის მიღმა ხედვას და სამართლიანობის უფრო ფართო მცნებებზე ფოკუსირებას მოითხოვს. ისინი განიხილავენ გადასახადებს, როგორც ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფოში სამართლიანობის მიღწევის მიზანს: „როგორც კი უარყოფთ მოსაზრებას, რომ სიმდიდრის გადანაწილება თავისუფალი ბაზრის მიერ სამართლიანია, ჩვენ ველარ განვაცალკევებთ გადასახადების სამართლიანობის პრინციპს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის უფრო ფართო პრინციპისაგან”.¹⁵

გადასახადების სამართლიანობა თუ უსამართლობა შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ სამართლიანობას ან უსამართლობას საკუთრების უფლების იმ უფრო ვრცელ სისტემაში, რასაც ეს საგადასახადო რეჟიმი ქმნის.¹⁶ ამრიგად, “საკუთრების მითი”¹⁷ მოითხოვს, რომ გადაფასდეს ტრადიციული მიდგომე-

¹² J. M. Dodge, *Theories of Tax Justice: Ruminations on The Benefit, Partnership, And Ability-To-Pay Principles*, 2005, Florida State University, 2005, 21.

¹³ ლაიამ მერფი - ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი სამართლის და ფილოსოფიის დარგში, კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორის ხარისხი.

¹⁴ ტომას ნეიჯელი - ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი სამართლის და ფილოსოფიის დარგში, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

¹⁵ J. R. Repetti, *Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity*, 2008, Boston College Law School, 1141.

¹⁶ I. B. Murphy & Th. Nagel, *Myth of Ownership: Taxes and Justice*, 2002, Oxford University press.

¹⁷ “Myth of Ownership: Taxes and Justice”, L.B. Murphy, Th. Nagel, 2002.

ბი საგადასახადო სისტემებში და შეფასდეს საგადასახადო პოლიტიკის პრაქტიკული დანიშნულება განაწილებითი სამართლიანობის მიზნის მიღწევაში.¹⁸

პირველი პრინციპი, რომელიც ამ კონცეფციიდან გამომდინარეობს, არის შესაძლებლობების თანასწორობა. როგორც რაულსი¹⁹ ამტკიცებს: “ყოველ მოქალაქეს, მიუხედავად წარმომავლობისა თუ კლასობრივი კუთვნილებისა, თანაბარი უნარების და მონდომების პირობებში უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა (შანსი), მიაღწიოს სასურველ სოციალურ საფუხერს”²⁰. თანაბარი შესაძლებლობები აუცილებელი წინაპირობაა საკუთარი თავის რეალიზაციისათვის, რაც თითოეული ადამიანის საბოლოო მიზანია. ეს მიზანი საკმაოდ მომხიბვლელად ჟღერს, მაგრამ თანაბარი შესაძლებლობები შეფარდებითი ცნებაა და სუბიექტური შეფასების საგანია. ამიტომ მარტო ამ მიზანს ვერ დავეყრდნობით. მეორე მიზანი, რომელიც პირველს მაქსიმალურად მიგვაღწევინებს, არის დემოკრატიის ხელშეწყობა. საარჩევნო პროცესებისადმი თანაბარი წვდომა და ჩართულობა არის აუცილებელი წინაპირობა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

ისეთი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება, რომელიც გააძლიერებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ე.ი მისცემს თანაბარ ხმას ყოველ მონაწილეს, ხელს შეუწყობდა ყველა ინდივიდს საკუთარი თავის მაქსიმალური რეალიზაციის პროცესში, საშუალებას მისცემდა ყველას, მათ შორის ნაკლებ პრივილეგირებულებს, ჩართულიყვნენ დისკუსიაში იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს თანაბარი შესაძლებლობები და როგორ უნდა მივაღწიოთ მათ.²¹ ასეთი შეიძლება იყოს საგადასახადო სისტემა, რომელიც ნაკლებად დაანგებოდა საგადასახადო ტვირთად დაბალი შემოსავლის მქონე პირებს მაღალშემოსავლიანი პირებისაგან მეტი საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის სანაცვლოდ. შესაბამისად, განათლების და ჯანდაცვის დაფინანსება მაღალშემოსავლიანი გადამხდელებისგან აკრეფილი საგადასახადო შემოსავლებით ქმნის რესურსების იმგვარ განაწილებას, როდესაც დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა უფრო კონკურენტუნარიანი ხდება ბაზარზე.

ამ პრინციპების უპირატესობა ადრე განხილულის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვთავაზობს საგადასახადო სისტემის ფორმირების ძირითად მიმართულებებს, მათ შორის, არჩევანს საგადასახადო ბაზის, განაკვეთის სტრუქტურის, საგადასახადო პერიოდის და სხვათა შესახებ.

ამჟამად მხოლოდ საგადასახადო განაკვეთის სტრუქტურას შევხებით.

საგადასახადო განაკვეთის სტრუქტურა

თვითრეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობების დოქტრინა გვკარნახობს, რომ საგადასახადო ტვირთმა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა შეზღუდოს თითოეული ინდივიდის შესაძლებლობა, ისარგებლოს წარმატების მიღწევის თანაბარი შანსით. აქედან გამომდინარე, რეგრესული გადასახადები მიუღებელია, ვინაიდან საგადასახადო ტვირთს აკისრებს დაბალშემოსავლიან პირებს, რომლებიც ფაქტობრივად თავად აფინანსებენ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებს. ამრიგად, არჩევანი უნდა გაკეთდეს პროპორციულ და პროგრესულ დაბეგვრას შორის. საკითხი უფრო ემპირიულია ვიდრე ნორმატიული. გამოსავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდია უთანასწორობა და რა ოდენობის შემოსავლის აკუმულირებაა საჭირო. თუ პროპორციული დაბეგვრის პირობებში მცირეშემოსავლიან გადამხდელებზე საგადასახადო ტვირთი ზღუდავს თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს, (გართულებულია ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობა), ცალსახაა, რომ გადასახადი უნდა იყოს პროგრესული. ამ პრობლემის გადა-

¹⁸ L. Sugin, *Theories of Distributive Justice and Limitations on Taxation: What Rawls Demands from Tax Systems*, 2004, *Fordham Law Review*, pg. 3.

¹⁹ რაულსი.

²⁰ J. R. Repetti, *Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity*, 2008, Boston College Law School, 1142.

²¹ J. R. Repetti, *Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity*, 2008, Boston College Law School, 1145.

საწყვეტად საჭიროა, განისაზღვროს დაბეგვრის შემდგომი შემოსავლის ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფდა თითოეული პირის თვითრეალიზაციის თანაბარ შესაძლებლობებს. ამას დემოკრატიულ პროცესებში მონაწილე პირები თავად უნდა განსაზღვრავდნენ.²²

მიუხედავად იმისა რომ ჯეიმს რეპეტი თანაბარი შესაძლებლობების და დემოკრატიის ხელშეწყობის მიდგომას განცალკევებულ პრინციპებად განიხილავს, თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ თვითრეალიზების, თანაბარი შესაძლებლობების და დემოკრატიის ხელშეწყობის პრინციპების ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგანპირობებულობა.

ჯეიმს რეპეტის მიხედვით თანასწორი შესაძლებლობების და დემოკრატიის ხელშეწყობა ეკონომიკურ წინსვლასაც უწყობს ხელს.²³ განაწილებითი სამართლიანობის მიღწევას აქვს დადებითი ეფექტურობის შედეგიც, რომელსაც ანალიტიკოსები უგულვებელყოფდნენ და რომელიც უნდა განიხილებოდა საგადასახადო სისტემის ფორმირების პროცესში.²⁴

განაკვეთის სტრუქტურის გარდა დემოკრატიის პრინციპი გვთავაზობს სათანადო საგადასახადო ბაზის და საგადასახადო პერიოდის მოდელსაც. თუ მიზანი, რომელიც საფუძვლად ედება საგადასახადო სისტემის ფორმირებას, არის დემოკრატიის ხელშეწყობა, გადასახადმა უნდა დატვირთოს გადამხდელის უნარი, განავრცოს არათანაზომიერი ზეგავლენა პოლიტიკურ პროცესებზე. ამრიგად, დემოკრატიულ პროცესებში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა გვკარნახობს, რომ პროგრესულ დაბეგვრას დაექვემდებაროს ინვესტირებიდან მიღებული შემოსავალი.²⁵ თუმცა ეს უფრო ვრცელ განხილვას მოითხოვს და შორდება ნაშრომის საგანს.

ჯეიმს რეპეტი ამერიკის საარჩევნო გარემოს მაგალითზე ამტკიცებს, რომ საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას დიდი გავლენა აქვს არჩევნების შედეგებზე.

პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის გარდა, სიმდიდრეს ზეგავლენა აქვს საზოგადოების ყოფით ქცევაზე. ინვესტიციების განთავსება და აქტივების ფლობა სოციალურ ისეთივე პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენს, როგორც საარჩევნო კამპანიის პირობებში კონტრიბუციები.²⁶

ეკონომიკური ძალაუფლება ამახინჯებს პოლიტიკურ პროცესებს წარმომადგენლობით ხელისუფლებაში და საზოგადოებაში. ამას აკეთებს კამპანიური შეწირულობების კაპიტალის განთავსებისა თუ კონტროლის საშუალებით. ვინაიდან დემოკრატიულ საზოგადოებაში განაწილებითი სამართლიანობის ძირითადი მიზანი ისეთი პირობების უზრუნველყოფაა, რომელიც შექმნის თანაბარ შესაძლებლობებს ყველა მონაწილისათვის, სახელმწიფოს საგადასახადო სისტემა უნდა იყოს შედგენილი ისე, რომ შეიზღუდოს გადასახადის გადამხდელის უნარი, განავრცოს არათანაზომიერი ზეგავლენა პოლიტიკურ პროცესებზე.²⁷

ცხადია, საგადასახადო სისტემა განცალკევებით ვერასოდეს შეძლებს პოლიტიკური პროცესებისადმი აბსოლუტურად თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. მაგრამ საგადასახადო სისტემას შეუძლია გააძლიეროს, გაამყაროს ამ მიზნით შექმნილი სხვა მექანიზმები (არჩევნების დაფინანსების მაკონტროლებელი კანონმდებლობა).

პირებს, რომელთაც არასაკმარისი ფინანსური რესურსები აქვთ ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც კი, ასევე ნაკლები ალბათობით შეძლებენ, განახორციელონ ინვესტირება ან გაიღონ საარჩევნო კონტრიბუციები. ამიტომ საგადასახადო სისტემა, რომლის მიზანი დემოკრატიის ხელშეწყობაა, არ უნდა ტვირთავდეს ნაკლები რესურსების მქონე პირებს. საპირისპიროდ, ის უნდა ზღუდავდეს პირებს, რომელთაც საკმარისი რესურსები გააჩნიათ ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში

²² J. R. Repetti, *Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity*, 2008, Boston College Law School, 1153.

²³ ჯინის კოეფიციენტი თუ გადავხედავთ

²⁴ J. R. Repetti, *Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity*, 2008, Boston College Law School, 1152.

²⁵ J. R. Repetti, *Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity*, 2008, Boston College Law School, 1154.

²⁶ J. R. Repetti, *Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity*, 2008, Boston College Law School, 1158.

²⁷ J. R. Repetti, *Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity*, 2008, Boston College Law School, 1160.

და განავრცონ ზეგავლენა ინვესტირების შესახებ არჩევანის საშუალებით.²⁸

რეპეტის მტკიცებით, გამოცდილება ცხადყოფს, რომ პროგრესული საგადასახადო სისტემა, როგორც არასრულყოფილიც უნდა იყოს ის, აკისრებს უფრო დიდ საგადასახადო ტვირთს მაღალ-შემოსავლიან პირებს, რომელთა შემოსავლის დიდი ნაწილი ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლებია, ვიდრე დაბალშემოსავლიან გადამხდელებს.²⁹

თუ ამ ლოგიკას გავყვებით არჩევანი დაბეგვრის ორ მეთოდს შორის უფრო ცხადი ხდება. პრიორიტეტული მეთოდი, რომელიც დაბეგვრამდე და დაბეგვრის შემდგომ შემოსავლებს შორის სხვაობას შეამცირებს პროგრესული დაბეგვრაა. დაკვირვება აჩვენებს, რომ ჯინის კოეფიციენტის მაჩვენებელი საგრძნობლად იკლებს დაბეგვრის შემდგომ სწორედ პროგრესული დაბეგვრის შემთხვევაში.³⁰

თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ პირობითი მაგალითი:

პროპორციული დაბეგვრა	პროგრესული დაბეგვრა
PIT(L) ³¹ _100GEL (10%)_10GEL	PIT(L)_100GEL (10%)_90GEL
PIT(H) ³² _500GEL (10%)_50GEL	PIT(H)_500GEL (20%)_100GEL
დაბეგვრამდე სხვაობა_400GEL (500-100)	დაბეგვრამდე სხვაობა_400GEL (500-100)
დაბეგვრის შემდეგ სხვაობა_360GEL (450-90)	დაბეგვრის შემდეგ სხვაობა_310GEL (400-90)

სამართლიანობა vs ეფექტურობა

ისეთი გადასახადების მიღება, რომლის თვითრეალიზების თანაბარ შესაძლებლობებს და დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობას პროგრესულ სამემოსავლო გადასახადამდე მიყვარათ.³³

მთავარი კონფლიქტი პროგრესულ და პროპორციულ დაბეგვრას შორის ეფექტურობისა და სამართლიანობის უკუპროპორციულობას უკავშირდება. სამეცნიერო წრეებში მიღებულია მოსაზრება, თითქოს სამართლიანობა და ეკონომიკური ეფექტურობა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. მაშინ როცა პროპორციული დაბეგვრა ეფექტურობის საუკეთესო მექანიზმია, პროგრესული მეთოდი უფრო მეტად სამართლიანობის გამოძახილია. თუმცა საპირისპირო მოსაზრება აქაც არსებობს. დენვილ დუნკანი³⁴ და კლარა საბირიანოვა პიტერი³⁵ ეფექტურობის და სამართლიანობის ამგვარ დამოკიდებულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. მათი კვლევის მთავარი თემაა, მოქმედებს თუ არა და როგორ მოქმედებს პროგრესული დაბეგვრა უთანასწორობის ფიქსირებულ და ფაქტობრივ მაჩვენებლებზე. კვლევა ცხადყოფს, რომ არსებობს დამოკიდებულება მზარდი პროგრესულობისა და გადასახადებისაგან თავის არიდებას შორის. რაც უფრო მზარდია პროგრესული გადასახადი, მით უფრო მეტია არიდება და მით ნაკლები ეფექტი აქვს პროგრესულობას ფიქსირებული უთანასწორობის მაჩვენებლებზე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ეხმაურება ჯეიმს რეპეტის მოსაზრებას, რომ საგადასახადო სისტემის საფუძველი განცალკევებულად აღებულ სამართლიანობის თუ ეკონომიკური ეფექტურობის პრინციპებს ვერ დაეფუძნება. გადასახადი სახელმწიფო სისტემის შემადგენე-

²⁸ J. R. Repetti, Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity, 2008, Boston College Law School, 1162.

²⁹ J. R. Repetti, Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity, 2008, Boston College Law School, 1174.

³⁰ J. R. Repetti, Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity, 2008, Boston College Law School, 1176.

³³ J. R. Repetti, Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity, 2008, Boston College Law School, 1177.

³⁴ დენვილ დუნკანი - ინდიანის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხის.

³⁵ კლარა საბირიანოვა პიტერი - კენტუკის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ხარისხი ეკონომიკის დარგში.

ლი ნაწილია და ყველა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი პირველ რიგში იმ პრინციპების განსხეულებას უნდა ემსახურებოდეს, რომლებიც სახელმწიფოს აქვს დასახული. როგორც წესი, ეს სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაა.

პროგრესულ გადასახადებს ხშირად მიმართავენ, რათა აიკრიფოს შემოსავლების მეტი ნაწილი მდრიდრებისაგან ღარიბებთან შედარებით, ასე ამცირებენ განკარგვადი შემოსავლის თანასწორობას დასაბეგრ შემოსავლებთან შედარებით.³⁶

ემპირული ანალიზი ცხადყოფს, რომ ვიდრე პროგრესულობა ამცირებს ფიქსირებულ უთანასწორობას გადასახადის გადამხდელთა შემოსავლებს შორის, მას აქვს ნაკლები გავლენა ფაქტობრივ უთანასწორობაზე (რაც მოხმარების შესწავლით დგინდება). ასევე ემპირიულად მტკიცდება, რომ ეს სხვაობა იზრდება სუსტი სამართლებრივი ინსტიტუტების პირობებში, რასაც შესაძლოა მოჰყვეს გადასახადებისაგან თავის არიდების ზრდა. უფრო სუსტი სამართლებრივი ინსტიტუტებისა და წესრიგის მქონე ქვეყნებში პროგრესული გადასახადი ნაკლებად აღწევს უთანასწორობის შემცირების მიზანს, ვინაიდან გადასახადებისგან თავის არიდების რესურსი ასეთ ქვეყნებში მეტია.³⁷

დასკვნა

დასკვნის სახით, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ საშემოსავლო გადასახადით დაბეგრის მეთოდის არჩევანის არგუმენტირება არ არის მარტივად გადასაჭრელი საკითხი. მით უფრო, თუ მას სამართლებრივი დისკუსიის ფარგლებში მოვაქცევთ და უარს ვიტყვით მხოლოდ ეკონომიკური ეფექტურობით რიგი საკითხების არგუმენტირებაზე. ნაშრომის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა დაისვა. ამასთან, პასუხები საფუძვლიან კვლევას მოითხოვს.

რომ არ შეგვექმნას წარმოდგენა, თითქოს ყოველმხრივ უარყოფით ეკონომიკური ეფექტურობის მნიშვნელობას სამართლიანობის პრინციპთან მიმართებით, აქვე უნდა მოვიყვანოთ ჯეიმს რეპეტის მოსაზრება, რომლის თანახმად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე თანასწორობის მაღალი დონე (რაც სამართლიანობის უსათუო სანინდარია) აუცილებლად ხელს შუწყობს ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებას.

თუმცა საფუძვლიანი ლიტერატურა არსებობს იმის დასაბამებლად, რომ საშემოსავლო გადასახადის პროპორციული განაკვეთი გარკვეულ უპირატესობებთანაა დაკავშირებული, მათი დიდი უმრავლესობა უგულებელყოფს სამართლიანობის პრინციპის მნიშვნელობას, რასაც ხანგრძლივი დროის მონაკვეთში აუცილებლად თან სდევს ეკონომიკური ეფექტურობის ხარჯიც. ჯინის კოეფიციენტს³⁸ თუ გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ უთანასწორობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები სწორედ განვითარებად ქვეყნებში ფიქსირდება³⁹. დაბალი ჯინის კოეფიციენტის კი, რომელიც უპირატესად განვითარებული ქვეყნების ფუფუნებაა. ცხადია მხოლოდ ის ფაქტი, რომ განვითარებულ ქვეყნებში, დაბალი ჯინის კოეფიციენტის პარალელურად პროგრესირებადი გადასახადია, არ იძლევა უალტერნატივო დასკვნის საფუძველს, თითქოს ეს უკანასკნელი პირველს განაპირობებს. თუმცა,

³⁶ D. Duncan, K. S. Peter, Unequal Inequalities: Do Progressive Taxes Reduce Income Inequality? 2012, IZA, pg. 3-4.

³⁷ D. Duncan, K. S. Peter, Unequal Inequalities: Do Progressive Taxes Reduce Income Inequality? 2012, IZA, pg. 3.

³⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP) სისტემატურად აქვეყნებს მსოფლიოს ქვეყნების ჯინის კოეფიციენტს, რომლის მიხედვითაც ხდება სოციალური თანასწორობის შეფასება ამ ქვეყნებში. ჯინის სახელი ამ კოეფიციენტს ცნობილი იტალიელი სტატისტიკოსის - კორადო ჯინის პატივსაცემად ეწოდა. კოეფიციენტი შეიძლება შეიცვალოს 0-იდან (შეესაბამება აბსოლუტურ თანასწორობას) 100-მდე (შეესაბამება აბსოლუტურ უთანასწორობას). კოეფიციენტი გამოითვლება სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შემოსავლების შედარებით (<http://24saati.ge/index.php/category/news/2009-10-24/821>).

³⁹ იხ. სქემა 1.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მთლად უკანასკნელი როლიც არ აკისრია. მაგალითად, ყველაზე დაბალი ჯინის კოეფიციენტის მქონე სკანდინავიის ქვეყნები (უმთავრესად შვედეთი) ცნობილია მაღალი განაკვეთის პროგრესული საშემოსავლო გადასახადით,⁴⁰ შესაბამისად, შვედეთში რესურსების გადანაწილების ხარისხიც დიდია.

მეორე მნიშვნელოვანი აქცენტი ნაშრომში არის გადახდისუნარიანობისა და ნაცვალებების პრინციპების ალტერნატიული მიდგომების გაცნობა. დისკუსიისთვის შემოთავაზებული იქნა პრინციპები, როგორცაა - თვითრეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და დემოკრატიის ხელშეწყობა.

პირველი გვეკარნახობს, რომ საგადასახადო ტვირთი არ უნდა დაანვეს იმ პირებს, ვისაც ფინანსური რესურსები ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არ ჰყოფნის. ეს მიდგომა პროგრესულ დაბეგვრას ანიჭებს უპირატესობას, როდესაც მაღალშემოსავლიანი მოსახლეობა ითავსებს მეტ საგადასახადო ტვირთს, ვიდრე დაბალშემოსავლიანი, რომელთა უზრუნველყოფა სოციალური პროგრამებით არ ხორციელდება მათგანვე მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების მეშვეობით. ხოლო დემოკრატიის ხელშეწყობის პრინციპი გვეკარნახობს, რომ საგადასახადო ტვირთი უნდა დაანვეს იმ გადამხდელს, რომლის რესურსი, განაგრძოს ეკონომიკური გავლენა საარჩევნო კონტრიბუციებისა და ინვესტირების საშუალებით, ამახინჯებს წარმომადგენლობითობას სახელმწიფო ხელისუფლებაში. ეს უკანასკნელი მოითხოვს, რომ დაიბეგროს ინვესტიციებიდან შემოსავალი ინვესტირების განხორციელების პროცესში. თუმცა ამგვარი დასკვნები უფრო მნიშვნელოვან სისტემურ ცვლილებებს უკავშირდება. ამ ეტაპზე გასათვალისწინებელია მათი მნიშვნელობა დაბეგვრის პროგრესული მეთოდის სასარგებლოდ.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოში ჯინის კოეფიციენტი (უთანასწორობის მაჩვენებელი) საკმაოდ მაღალია,⁴¹ პროგრესული გადასახადებით მათი კორექტირება ეფექტური მექანიზმი იქნებოდა რესურსების გადანაწილების პროცესში.

ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ პროგრესული მეთოდის გავლენა გადასახადებისაგან თავის არიდების ტენდენციებზე. მხოლოდ პროგრესული გადასახადი განაწილებითი სამართლიანობის მიზანს ვერ მიაღწევს. ვინაიდან პროგრესულობის ზრდასთან ერთად, სუსტი სამართლებრივი ინსტიტუტების და კანონმორჩილების დაბალი დონის პირობებში, გადასახადებისაგან თავის არიდების ზრდა ამცირებს სამართლიანობის ეფექტს.

საბოლოო დასკვნა კი შემდეგია: არსებული უთანასწორობის პირობებში, უპრიანია ფინანსური რესურსების ინტენსიური გადანაწილება, რაც საშემოსავლო დაბეგვრის პროგრესული მეთოდით უნდა ხორციელდებოდეს. ამასთან, აუცილებელია პროგრესულობის ხარისხის დადგენისას სავარაუდო რისკების სათანადო შეფასება და მათი მართვის მიზნით პრევენციული მექანიზმების ფორმირება.

⁴⁰ ჯინის კოეფიციენტი შვედეთში: 25 (<http://www.indexmundi.com/facts/indicators/SI.POV.GINI>).

⁴¹ ჯინის კოეფიციენტის მიხედვით ქვეყნები სამ ჯგუფად იყოფა: 1) სოციალური თანასწორობის მაღალი დონე (33-მდე); 2) სოციალური თანასწორობის საშუალო დონე (33-41); 3) სოციალური უთანასწორობის მაღალი დონე (41-ზე მეტი), (<http://24saati.ge/index.php/category/news/2009-10-24/821>).

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, ბაკმი, 2002, თბილისი,
2. საგადასახადო საქმე ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე, თბილისი, 2007, “ვერუე”,
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010,
4. Beate Neubauer, Flat Tax-an unfair system of taxation?, GRIN, 2010
5. J. R. Repetti, Democracy and Opportunity: A New Paradigm in Tax Equity, 2008, Boston College Law School, 1135-1136;
6. D. Duncan, K. S. Peter, Unequal Inequalities: Do Progressive Taxes Reduce Income Inequality? 2012, IZA
7. J. M. Dodge, Theories of Tax Justice: Ruminations on The Benefit, Partnership, And Ability-To-Pay Principles, 2005, Florida State University, 2005
8. I. B. Murphy & Th. Nagel, Myth of Ownership: Taxes and Justice, 2002, Oxford University press, pg.
9. L. Sugin, Theories of Distributive Justice and Limitations on Taxation: What Rawls Demands from Tax Systems, 2004, Fordham Law Review
10. www.taxrates.cc
11. <http://24saati.ge/index.php/category/news/2009-10-24/821>
12. <http://www.indexmundi.com/facts/indicators/SI.POV.GINI>
13. <http://24saati.ge/index.php/category/news/2009-10-24/821>
14. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1036&lang=geo
15. http://en.wikipedia.org/wiki/Social_democracy